



MES 5 20 0001206801



17/12/2020

**პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამის
განხორციელების უფლების მიმნიჭებელი საბჭოს
სხდომის ოქმი**

ქ. თბილისი

ახალი კორონავირუსის (COVID-19) შესაძლო გავრცელების პრევენციისა და უსაფრთხოებისათვის საბჭოს სხდომა ჩატარდა ონლაინ რეჟიმში **2020 წლის 8 დეკემბერს**.

სხდომის დაწყებამდე 10 წუთით ადრე ცენტრის ვებ-გვერდზე გამოქვეყნდა ბმული, საიდანაც ყველა დაინტერესებულ პირს შეეძლო საბჭოს სხდომაზე ონლაინ ჩართვა.

Join Zoom Meeting

<https://us02web.zoom.us/j/88624411197>

საბჭოს სხდომაში მონაწილეობდნენ:

**პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლებ
ის მიმნიჭებელი საბჭოს (შემდგომში საბჭო) წევრები:**

მარიამ ქუჩულორია - ა(ა)იპ - ევროპული ბიზნეს ასოციაციის გენერალური დირექტორის მოადგილე (საბჭოს თავმჯდომარე);

მარიკა ზაქარეიშვილი - გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოების (GIZ) პროექტის-„კერძო სექტორის ჩართულობა პროფესიული განათლებისა და ტრენინგის სისტემაში სამხრეთ კავკასიაში“ ექსპერტი, (საბჭოს მდივანი);

გიორგი გამყრელიძე - საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს ეკონომიკური პოლიტიკის დეპარტამენტის შრომის ბაზრის ანალიზის სამმართველოს უფროსი (საბჭოს წევრი);

გიორგი ვეკუა - სსკ - საქართველოს სავაჭრო-სამრეწველო პალატის მომსახურებისა და რეგიონული განვითარების დეპარტამენტის დირექტორი (საბჭოს წევრი);

თორნიკე ჯობავა - სსიპ - საქართველოს ინოვაციების და ტექნოლოგიების სააგენტოს „ინტერნეტი განვითარებისთვის“ პროგრამის კოორდინატორი (საბჭოს წევრი);

ნიკოლოზ მესხიშვილი - პროფესიული განათლების ექსპერტი (საბჭოს წევრი);

თორნიკე თოხაძე - ა(ა)იპ -საქართველოს საინფორმაციო ტექნოლოგიების ასოციაციის პრეზიდენტი - (საბჭოს წევრი).

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ცენტრი) წარმომადგენლები:

ნანი დალაქიშვილი პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი;

ქეთი ციხისელი - პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის მოადგილე;

ლანა გაჩეჩილაძე - პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მთავარი სპეციალისტი;

მაყვალა დარსანია - პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი;

მაია აბდალაძე - პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი.

დაწესებულების წარმომადგენლები:

სსიპ - კოლეჯი „იბერია“:

ირაკლი ავალიანი - დირექტორი,

დარეჯან ლოსაბერიძე - ხარისხის მართვის მენეჯერი,

იური მესხორაძე - „დურგლის“, პროფესიული მომზადების პროგრამის მასწავლებელი,

მაგდანა როხვაძე - „გრაფიკული საქმის“, პროფესიული მომზადების პროგრამის მასწავლებელი,

ნინო დარესელია-ზრდასრულთა პროფესიული მომზადება/გადამზადების პროგრამების კოორდინატორი,

ბერიკა უშვერიძე - მატერიალური რესურსების კოორდინატორი.

ა(ა)იპ - ჰოსპისი ფერიცვალება:

ეკატერინე დელიბაშვილი - სასწავლებლის ხელმძღვანელი,

მარიამ ფალავანდიშვილი - აღმასრულებელი დირექტორი,

შუქია ჭინჭარაული - პროგრამის კოორდინატორი,

თამარ კვიციანიძე - პედაგოგი

პროფესიული მომზადების პროგრამებისა და პროფესიული გადამზადების პროგრამების ექსპერტები:

მამუკა ხომტარია,

გიორგი ბერია,

თეა ბარამაშვილი

საბჭოს სხდომა დაიწყო 16:00 საათზე.

საბჭოს თავმჯდომარე მიესალმა საბჭოს წევრებს, დაწესებულების და ცენტრის წარმომადგენლებს და შეამოწმა სხდომაზე დამსწრე საბჭოს წევრთა რაოდენობა, დაადგინა: რადგან სხდომაზე წარმოდგენილია საბჭოს წევრთა სრული შემადგენლობის ნახევარზე მეტი, „პროფესიული მომზადების პროგრამისა და პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მოპოვებისა და სახელმწიფოს მიერ აღიარებულად ჩათვლის წესისა და პირობების დამტკიცების თაობაზე“ - საქართველოს მთავრობის 2019 წლის 15 მარტის №131 დადგენილების (შემდგომში №131 დადგენილება) მე-9 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, საბჭო უფლებამოსილია, შეუდგეს მუშაობას. თავმჯდომარემ ასევე შეახსენა საბჭოს წევრებს, რომ №131 დადგენილების მე-11 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, საბჭოს წევრი უფლებამოსილი არ არის, თავი შეიკავოს ხმის მიცემისაგან.

მიღებული იქნა საბჭოს მონაწილეთა ერთობლივი ნებართვა საბჭოს სხდომის აუდიო ჩანაწერის წარმოებაზე, რომელიც ოქმის პროექტის შედგენის შემდეგ რეგულაციის მიხედვით, განადგურდება, და ასევე, ნებართვა მონაწილეთა ერთობლივი ფოტოს გადაღებაზე.

თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს გააცნო **სხდომის დღის წესრიგი**:

- 1.სსიპ - კოლეჯ „იბერიასთვის“ - „დურგალი“ /00934/ პროფესიული მომზადების პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ საკითხის განხილვა;
წარმდგენი: მამუკა ხოშტარია, ლანა გაჩეჩილაძე
2. სსიპ - კოლეჯ „იბერიასთვის“ - „გრაფიკული საქმე“ /00930/ პროფესიული მომზადების პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ საკითხის განხილვა;
წარმდგენი: თეა ბარამაშვილი, ლანა გაჩეჩილაძე
3. ა(ა)იპ ჰოსპისი ფერიცვალებისთვის - „პალიატიური და გერიატრიული პაციენტების ინდივიდუალური მოვლის სპეციალისტი“ /00938/ პროფესიული მომზადების პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ საკითხის განხილვა;
წარმდგენი: გიორგი ბერია, მაყვალა დარსანია

1. სსიპ - კოლეჯ „იბერიასთვის“ - „დურგალი“/00934/ პროფესიული მომზადების პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ საკითხის განხილვა.

საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს და ცენტრს მიმართა, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება ან რაიმე შუამდგომლობა. დაწესებულების და ცენტრის წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ და არც რაიმე შუამდგომლობა. საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ ელექტრონულ სისტემაში წარმოდგენილ განაცხადს, პროგრამას და საბჭოს აპარატის მიერ მომზადებულ დასკვნას. თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა საბჭოს აპარატის მიერ მომზადებულ დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდნენ დასკვნას.

დასკვნის პრეზენტაცია საბჭოზე წარადგინა ლანა გაჩეჩილაძემ. მან მოკლედ მიმოიხილა ვიზიტის შედეგები და ძირითადი აქცენტები გააკეთა ხარვეზებზე და გაცემულ რეკომენდაციებზე. მან აღნიშნა, რომ ვიზიტი განხორციელდა დისტანციურად, შექმნილი მდგომარეობიდან გამომდინარე. რაც შეეხება პროგრამას „დურგალი“, არის პროფესიული მომზადების პროგრამა, დარგის ექსპერტი იყო ბატონი მამუკა ხოშტარია. პროგრამის ხანგრძლივობაა 14 კვირა, სწავლების ენა-ქართული, მსმენელთა მოთხოვნილი რაოდენობა-10, პროგრამის განხორციელების ადგილი - ქ.ქუთაისი, ზურაბ ამჯაფარიძის ქ. N61.

დაფიქსირდა შემდეგი ხარვეზები:

1.3. ქვესტანდარტი: პროფესიული მომზადების პროგრამის მიზანია: უზრუნველყოს კონკურენტუნარიანი კადრის მომზადება დურგლის პროფესიის სფეროსთვის, რომელმაც იცის ხის დამუშავებისთვის საჭირო ჩარხების, დანადგარების, ხელსაწყოებისა და მასალის შერჩევა, ესკიზისა და ნახაზის შესრულება, ესკიზის მიხედვით ხის ნაკეთობათა დამზადება და დამუშავება უსაფრთხოების წესების დაცვით, ხის დაზიანებული ავეჯის შეკეთება.

ავეჯის შეკეთება მოითხოვს უფრო მაღალ კომპეტენციას ვიდრე მომზადების პროგრამის კურსდამთავრებულ დურგალს ექნება აღნიშნული პროგრამის სწავლის შედეგებიდან გამომდინარე. პროგრამაში არ არის გათვალისწინებული ავეჯის შესახებ თემატიკა. ამავდროულად, ავეჯის რესტავრაცია დაკავშირებულია ქიმიურ დამუშავებასთან და მაღალკვალიფიციურ დურგლის სამუშაოებთან (ხეზე მხატვრული კვეთა, სახარატო სამუშაოების ცოდნა).

1.8 ქვესტანდარტი: გასაუბრებით დადგინდა, რომ პრაქტიკულ სავარჯიშოებთან ერთად მსმენელებს მიეწოდებათ სწავლის შედეგის თემატიკის შესაბამისი თეორიული მასალაც, თუმცა პროგრამაში სწავლის მეთოდებად მითითებული არაა ლექცია ან ინტერაქციული ლექცია.

სწავლების მეთოდები სრულყოფილად ვერ უზრუნველყოფს პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას, მსმენელთა ინდივიდუალური საჭიროებების გათვალისწინებით.

1.10 ქვესტანდარტი: კოლეჯმა წარმოადგინა 2020 წლის 13 ნოემბრის №260 ბრძანებით დამტკიცებული სსიპ კოლეჯი „იბერიის“ სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი, რომლის მუხლი 19. ეთმობა პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემას. დოკუმენტში წარმოდგენილი არაა ინფორმაცია მსმენელთა შეფასების სისტემის თაობაზე.

3.4 ქვესტანდარტი: „პროფესიული განათლების ხარისხის შიდა უზრუნველყოფის მექანიზმები“ არ ითვალისწინებს პროფესიული მომზადების და პროფესიული გადამზადების პროგრამების სპეციფიკას და შესაბამისი ხარისხის უზრუნველყოფის რელევანტურ მექანიზმებს.

გაიცა შემდეგი რეკომენდაციები:

1.1 ქვესტანდარტი: რეკომენდებულია, სსიპ კოლეჯმა „იბერიამ“ წარმოადგინოს ადგილობრივი ბაზრის კვლევა, ადგილობრივ კომპანიებთან, რომელიც ფუნქციონირებს ხის დამუშავების და ავეჯის ინდუსტრიაში.

1.2 ქვესტანდარტი: რეკომენდებულია პროგრამაში პირველი სწავლის შედეგში, თემატიკის სახით დაემატოს „მერქნული მასალები“. ასევე, ვინაიდან ხის დამუშავება და ავეჯის დამზადება შესულია მომეტებული საფრთხის შემცველ პროფესიებში, შრომის უსაფრთხოების წესების შესაბამისი თემატიკა უნდა გასდევდეს პროგრამას ყოველკვირეულად. წარმოდგენილ პროგრამაში მხოლოდ მესამე, მეხუთე, მეცხრე და მეთერთმეტე კვირაშია უსაფრთხოების შესაბამისი თემატიკა.

1.3 ქვესტანდარტი: რეკომენდებულია, დაკონკრეტდეს, რომ ხის ნაკეთობათა დამზადება და დამუშავება მოხდება შრომის უსაფრთხოების წესების დაცვით. რეკომენდებულია, მიზანში „ხის დაზიანებული ავეჯის შეკეთება“ დაზუსტდეს ჩანაწერით - „დაზიანებული ხის ნაკეთობების შეკეთება“.

1.4 ქვესტანდარტი: რეკომენდებულია, ვინაიდან ხის დამუშავება და ავეჯის დამზადება შესულია მომეტებული საფრთხის შემცველ პროფესიებში, აპლიკანტმა წარმოადგინოს ჯანმრთელობის ცნობა-ფორმა №100.

1.7 ქვესტანდარტი: რეკომენდებულია, პროგრამაში გაიზარდოს საათობრივი დატვირთვა შრომის უსაფრთხოების წესებთან დაკავშირებით.

1.8 ქვესტანდარტი: რეკომენდებულია, სწავლის მეთოდად, შესაბამის კვირებში, ასევე მითითებული იყოს ლექცია ან ინტერაქციული ლექცია.

1.10 ქვესტანდარტი: რეკომენდებულია, ცვლილება განხორციელდეს სსიპ კოლეჯი „იბერიის“ სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესში და გათვალისწინებული იქნეს პროფესიული მომზადების/გადამზადების პროგრამების სპეციფიკა. ასევე, აღნიშნული წესის მუხლი 19-ში გათვალისწინებული იქნეს მსმენელთა შეფასების სისტემა.

2.1. ქვესტანდარტი: რეკომენდებულია, პროგრამის მდგრადობის უზრუნველსაყოფად კოლეჯმა პროგრამის განხორციელებაში ჩართოს განმახორციელებელი დამატებითი პირი.

2.2. ქვესტანდარტი: რეკომენდებულია, სახელოსნოს შესასვლელთან გამოკრული იქნას სახელოსნოში მსმენელების მოქცევის წესები. მსმენელებს უნდა წაეკითხოს ინსტრუქტაჟი შრომის უსაფრთხოების შესახებ და შესაბამის ჟურნალში (ბეჭედდასმული და ზონარგაყრილი) დააფიქსირონ ხელმოწერით.

ჩარხებთან უნდა იქნას გამოკრული უსაფრთხოების ფირნიშები, რომლებზეც ასახული იქნება თუ რა სახის საფრთხეს შეიცავს ამ ჩარხზე მუშაობა და ასევე ფირნიშები, იმის შესახებ თუ რა დაცვის საშუალებებით უნდა ვიმუშაოთ ამ ჩარხთან.

რეკომენდებულია, სადურგლო სახელოსნოში მოეწყოს ვიდეო პროექტორი ან ეკრანი, ვინაიდან პროგრამა/ პროგრამის განმახორციელებელი ითვალისწინებს აუდიო-ვიზუალური მასალების აქტიურად გამოყენებას სასწავლო მიზნით.

2.4. ქვესტანდარტი: რეკომენდებულია, შესრულდეს №1011 მიწერილობით გათვალისწინებული ღონისძიებები და მოხდეს განმეორებითი შეფასება საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის მიერ.

3.2. ქვესტანდარტი: რეკომენდებულია სსიპ კოლეჯი „იბერია“-ს დირექტორის 2019 წლის 27 ნოემბრის №458 ბრძანებით დამტკიცებული „სსიპ კოლეჯი „იბერია“-ს პროფესიული მომზადების/გადამზადების პროგრამაზე მსმენელის ჩარიცხვის წესი და პირობების“ წესის მუხლი 3-ის მე-4 პუნქტში დახურული წესით რეგისტრაცია განიმარტოს ზუსტად, საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 10 აპრილის №71/ნ ბრძანების „პროფესიული მომზადების პროგრამაზე და პროფესიული გადამზადების პროგრამაზე ჩარიცხვის წესის და პირობების დამტკიცების შესახებ“ შესაბამისად.

3.4. ქვესტანდარტი: რეკომენდებულია, შემუშავდეს პროფესიული მომზადების და გადამზადების პროგრამების კუთხით საგანმანათლებლო მომსახურების ხარისხის უზრუნველყოფის რელევანტური მექანიზმები.

ლანა გაჩეჩილაძემ საბჭოს წარმოდგინა C გარემოს ამსახველი ფოტოსურათები, სადაც პრაქტიკული და თეორიული სწავლება განხორციელდება.

საბჭოს თავმჯდომარემ დარგის ექსპერტს სთხოვა ესაუბრა ხარვეზებთან დაკავშირებით. ბატონმა მამუკა ხოშტარიაშვილმა აღნიშნა, რომ ის ეთანხმება ქალბატონი ლანას მიერ წარმოდგენილ პრეზენტაციას, რადგან მათ შეაჯერეს ერთმანეთთან მოსაზრებები და დასამატებელი რაიმე განსაკუთრებული არაფერი აქვს. მან ხაზი გაუსვა, რომ გადამზადების პროგრამა იქნება თუ საკვალიფიკაციო პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები, მას სურვილი აქვს, მეტად

იქნეს გამოყენებული ციფრული ტექნოლოგიები, რომლის ერთ-ერთი ინიციატორი თვითონ არის. როდესაც გვინდა ვასწავლოთ ფანჯრის, კარების თუ კიბის დამზადება, დღეს არსებობს უამრავი software, რომლის საშუალებით შეიძლება პროექტირება და მერე ამის წარმოებაში განხორციელება. შენიშნა, რომ სამწუხაროდ, ამის დეფიციტს განიცდის დაწესებულების მიერ წარმოდგენილ პროგრამაში. მას უნდა, რომ თამასა უფრო მაღლა ასწიოს.

საბჭოს თავმჯდომარემ შენიშნა, რომ დასკვნაში ეს არ არის აღნიშნული და უნდა აღენიშნათ. შემდეგ სთხოვა დაწესებულების წარმომადგენელს ესაუბრა ხარვეზებთან დაკავშირებით და დაეფიქსირებინა თავისი პოზიცია.

დარეჯან ლოსაბერიძემ, დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ ყურადღებით გაეცნენ ექსპერტთა წარმოდგენილ დასკვნას, ყველა ხარვეზთან დაკავშირებით ჰქონდათ მსჯელობა, ერთად განიხილეს, იზიარებენ ხარვეზებს და ცდილობენ დასახონ მათი გამოსწორების გზები. ამასთან დაკავშირებით მათ გამოაგზავნეს კიდევ წერილი ცენტრში, დღეს წერილი უკვე ხარისხის ცენტრშია და იმედი ჰქონდა საბჭოს წევრები გაეცნობოდნენ. ეს ეხებოდა იმ გარემოებებს, აღნიშნულ ხარვეზებს, რაც ფაქტიურად უკვე აღმოფხვრილია. რაც შეეხება, მარეგულირებელ დოკუმენტებს, მსმენელთა შეფასების სისტემასთან დაკავშირებით, მათ მე-19 პუნქტში, ნამდვილად აქვთ საუბარი, დაწვრილებით აქვთ განხილული სტუდენტთა შეფასების სისტემა, მაგრამ არ ჰქონდათ ყურადღება გამახვილებული მსმენელთა შეფასების სისტემაზე, რომელიც დაამუშავეს სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესში და მეცხრამეტე მუხლის პრიმა მუხლად დაამატეს მსმენელთა შეფასების სისტემა, რომელიც კონკრეტულად აღწერს თუ როგორ შეფასდებიან ამა თუ იმ მომზადებისა და გადამზადების პროგრამების მსმენელები. რაც შეეხება ხარისხის უზრუნველყოფის რელევანტურ მექანიზმებს, აქაც მათ ჰქონდათ ბრძანება, რომელიც გააცნეს ექსპერტებს ვიზიტის დროს პროგრამასთან ერთად. იქაც იყო გარკვეული ხარვეზი, რომ მათი მარეგულირებელი წესი არ ითვალისწინებდა მსმენელთა მომზადების პროგრამის ხარისხის შეფასების რელევანტურ მექანიზმებს და მათ ეს ბრძანებაც შეცვალეს, შესაბამისი რეკომენდაცია გაითვალისწინეს. მან აღნიშნა, რომ უფლების მოპოვების გზით პირველად შემოიტანეს პროგრამა, მანამდე არ ჰქონიათ და მარეგულირებელ დოკუმენტებშიც არ ჰქონიათ შესაბამისი ჩანაწერები, ამჟამად ეს ხარვეზი აღმოფხვრილია.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენელს, რადგან ბევრი ცვლილებები განხორციელეს, პროგრამაზეც გაემახვილებინათ ყურადღება.

დარეჯან ლოსაბერიძემ უპასუხა, რომ თუ პროგრამაში ცვლილებების განხორციელების საშუალება მიეცემათ, ცვლილებები განხორციელდება. დაამატა, რომ მათ ჰყავთ მასწავლებელი, რომელიც არის ამ დარგის კვალიფიციური სპეციალისტი, აქვს „დურგლის“ პროგრამის სწავლების მრავალწლიანი გამოცდილება. მათ ჰქონდათ გრძელვადიანი (60 კრედიტიანი) პროგრამა, რომელიც საგნობრივი პროგრამა იყო და 2019 წლის შემდეგ აღარ ხორციელდება. იმერეთის რეგიონში არის ბევრი ხის დამუშავების საწარმო და ამ პროგრამის კურსდამთავრებულების დასაქმების რეალური შესაძლებლობაა რეგიონში. ვინაიდან მოთხოვნაა ბაზარზე და მათ მასწავლებელს აქვს დიდი გამოცდილება, გარდა ამისა მათი კურსდამთავრებულები თითქმის ყველა საწარმოში მუშაობენ, აქედან გამომდინარე, მათ გადაწყვიტეს, წარმოდგენილ პროგრამის განხორციელების უფლების მოპოვება. პროგრამის განსახორციელებლად კოელჯს აქვს სახელოსნო, რომელიც აშენებულია კოლეჯის რეაბილიტაციის შემდეგ, თითქმის ყველა დანადგარი აქვთ, რაც საჭიროა ამ დარგში. ამიტომ გადაწყვიტეს ამ პროგრამის განაცხადის შემოტანა. რაც შეეხება თემატიკას, შრომის უსაფრთხოების კუთხით და ა.შ. არის ეს რეკომენდაციები გასათვალისწინებელი და ისინი ამას აუცილებლად გაითვალისწინებენ. თუმცა რეალურად, არცერთი გაკვეთილი არ იწყება შრომის უსაფრთხოების საკითხების აღნიშვნის გარეშე. თუმცა ეს არ ჩანს პროგრამაში. გამოთქვეს

მზაობა პროგრამაში აისახოს ყველა რეკომენდაცია. ამ ცვლილების გათვალისწინებისთვის მათ დასჭირდებათ სავარაუდოდ 2-3 კვირა.

დაწესებულების წარმომადგენელი, პროგრამის განმახორციელებელი, იური მესხორაძე გამოეხმაურა დარგის ექსპერტს და თქვა, რომ რა თქმა უნდა 21-ე საუკუნეში თანამედროვე ტექნოლოგიები აუცილებელი და აქტუალურია, მაგრამ ის პროგრამები, რაც ბატონმა მამუკამ თქვა, ასე მოკლევადიან მომზადების პროგრამაში ვერანაირად ვერ მოესწრება და ვერ ასწავლი, ეს უბრალოდ დროის ფაქტორია, თორემ მხატვრული ნამუშევრების პროგრამაში არის ასეთი პროგრამა, ისწავლება, რომელიც 3D განზომილებაში სხვადასხვა ნაკეთობებს აწყობს. რა თქმა უნდა, ტექნოლოგიებიც აუცილებელია ეთანხმება ექსპერტს, მაგრამ სახელოსნოში ხელით შრომა აუცილებელია, ხელით შრომა უნდა ასწავლონ მსმენელებს.

1.2 ქვესტანდარტის რეკომენდაციასთან დაკავშირებით, მან აღნიშნა, რომ ყოველი გაკვეთილი იწყება საუბრებით, საერთო უსაფრთხოების, ხელსაწყო-იარაღის თუ დანადგარის შესახებ, ანუ თემატიკის მიხედვით ასწავლის უსაფრთხოებას პირველ რიგში. ამ სამ თვეში პროგრამა რასაც მოიცავს, იმ დოზით ასწავლიან და პროგრამის მიზანში ეს წერია.

ყველა საკითხი უნდა იწყებოდეს უსაფრთხოების კუთხით, რეკომენდაციაა, დააზუსტა მამუკა ხომტარიამ.

ავეჯის რესტავრაციასთან დაკავშირებით იური მესხორაძემ აღნიშნა, რომ საუბარი მართლა ავეჯის რესტავრაციაზე რომ იყოს ექსპერტს დაეთანხმებოდა, მაგრამ აქ ხის დაზიანებული ავეჯის შეკეთებაზეა საუბარი, მაგალითად, ხის კარის დაზიანებაზე საუბარი, სკამს ან სამეულს ფეხი შეუცვალოს. აქ იგულისხმება ელემენტარული შეკეთება, ქსოვილის შეცვლა, რომელსაც ქიმიური პროცესების ცოდნა არ სჭირდება და სხვა.

დარგის ექსპერტმა შენიშნა, რომ სიტყვა „ავეჯია“ ამოსაღები და „მერქნული ნაკეთობები“ ჩასასმელი მის ნაცვლად. ავეჯი სხვა რაღაცაა, ფართო სპექტრია.

საბჭოს თავმჯდომარემ იკითხა იყო თუ არა სხვა დამაზუსტებელი კითხვები. საბჭოს წევრებს კითხვები არ ჰქონდათ. საბჭომ გამოიყენა სათათბირო დრო.

საბჭოს თავმჯდომარემ გამოაცხადა, რომ საბჭომ მიიღო გადაწყვეტილება, გადაიდოს პროფესიული მომზადების პროგრამის „დურგალი“ განხილვა და ამასთან ერთად კოლეჯის მეორე პროგრამის განხილვაც. მიმართა საბჭოს აპარატს, მოხდეს ამ პროგრამების განხილვა უახლოეს საბჭოს სხდომაზე, მას შემდეგ რაც შესაძლებლობა მიეცემათ საბჭოს და აპარატს გაეცნონ გამოგზავნილ დოკუმენტაციას.

საბჭოს თავმჯდომარემ დაამატა, რომ საბჭო მიზანშეწონილად თვლის დაწესებულების მიერ წარმოდგენილ დოკუმენტებს გაეცნოს საბჭოს აპარატი, რომ სწორად შეფასდეს გამოსწორებულია თუ არა დასკვნაში დაფიქსირებული ხარვეზი. სწორედ ამიტომ გადაიდო განხილვა, რომ სამართლიანი გადაწყვეტილება იქნას მიღებული საბჭოს მიერ.

2. ა(ა)იპ ჰოსპისი ფერიცვალებისთვის - „პალიატიური და გერიატრიული პაციენტების ინდივიდუალური მოვლის სპეციალისტი“ /00938/ პროფესიული მომზადების პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ საკითხის განხილვა.

შესავლის სახით, პროგრამასთან დაკავშირებით, საბჭოს ინფორმაცია მიაწოდა ლანა გაჩეჩილაძემ. მან თქვა, რომ შინმოვლის მიმართულებით, ცენტრში შეიქმნა სამუშაო ჯგუფი,

რომლის ფარგლებშიც მომზადდა ერთგვარი სახელმძღვანელო, მინიმუმი პროგრამა, რომელიც დღე-დღეზე უკვე დამტკიცდება და შესაბამისად იხელმძღვანელებენ დაინტერესებული მხარეები. ეს შეეხება როგორც მომზადების ასევე გადამზადების პროგრამასაც.

შენიშნა, რომ დაწესებულების მიერ წარმოდგენილი პროგრამა შინაარსით კი უახლოვდება ამ პროგრამას, მაგრამ თავის დროზე როცა განაცხადი იქნა წარმოდგენილი, რა თქმა უნდა არ არსებობდა და ვერ იხელმძღვანელებდა დაწესებულება შინამოვლის სამუშაო ჯგუფის მიერ წარმოდგენილი პროგრამით. აღნიშნა, რომ დაწესებულების წამომადგენელი, ქალბატონი შუქია ასევე ჩართული იყო იმ სამუშაო ჯგუფში, რომლის საბოლოო პროდუქტიც მალე იქნება ხელმისაწვდომი დაინტერესებული პირებისთვის.

დარგის ექსპერტმა გიორგი ბერიამ ისაუბრა ვიზიტის დროს დაფიქსირებულ **ხარვეზებზე:**

ქვესტანდარტი 1.4 პროფესიული მომზადების პროგრამაზე დაშვების წინაპირობაა საბაზო განათლება და ასაკი 18 წელი, რთული იქნება 18 წლის ახალგაზრდისთვის ყოველგვარი გამოცდილების გარეშე განახორციელოს მოვლა, ზოგ შემთხვევაში საკმაოდ მძიმე გერიატრიულ ბენეფიციართან. სირთულე გამოიხატება როგორც ფსიქოლოგიურ კონტექსტში, ასევე უნარ-ჩვევაზე დაფუძნებული სპეციფიკით. პროფესიული მომზადების პროგრამის განხორციელებისთვის გათვალისწინებული დრო - 3 თვე (345 საათი), სადაც სამუშაოზე დაფუძნებული პრაქტიკული კომპონენტი მხოლოდ ბოლო თვეშია გათვალისწინებული, ასეთი სპეციალისტის მოსამზადებლად საბაზო განათლებით საკმარისი არ არის. ასევე დაშვების წინაპირობა მხოლოდ გასაუბრება, ნაკლებად დამაჯერებელს ხდის მიღების პროცესს, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც არ არის გაწერილი და არ ჩანს რა კრიტერიუმების (საბაზო ცოდნის) საფუძველზე ხდება აპლიკანტის მიღება ან უარის თქმა.

საბჭოს თავმჯდომარე დაინტერესებდა, გადაწყვეტის გზას რაში ხედავდა ექსპერტი, რაზეც ექსპერტმა უპასუხა, რომ ცოტა, გარკვეული გამოცდილება მაინც რომ ჰქონდეთ მსმენელებს, ფსიქოლოგიურ მომენტს დაძლევენ. სამუშაო პრაქტიკის გაზრდაც იქნებოდა კარგი, კვალიფიციური კადრის გაზრდისთვის.

საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულებას ჰკითხა დაშვების წინაპირობასთან დაკავშირებით გამოეხატათ აზრი, როგორი მსმენელი სჭირდებათ, ამასთან დაკავშირებით რას ფიქრობენ, რაზედაც შუქია ჭინჭარაულმა უპასუხა, რომ მისთვის ორივე რეკომენდაცია, რაზედაც ექსპერტმა ისაუბრა, მისაღებია. პრინციპში, თავიდან, როცა ამ პროგრამას ამზადებდნენ, ერთ-ერთი სადაო საკითხი იყო დაშვების წინაპირობა, მაგრამ გამომდინარე იქედან, რომ მუდმივად ესმოდათ, რომ ის ადამიანები, ვინც ვეღარ აგრძელებს სწავლას და აქვს სურვილი რაღაც პროფესია მიიღოს, ძალიან ცუდ დღეში ვარდებიან ასეთი წინაპირობების, ასეთი დაშვებების გამო. სწორედ ეს იყო მიზეზი, ასაკის ასე დაწვევის და საბაზო განათლების მითითების. მას პირადად, შესაძლებლად მიაჩნია, სრულად გაითვალისწინონ რეკომენდაციები. ასევე, პრაქტიკის დროის გაზრდა სრულიად შესაძლებლად მიაჩნიათ გამომდინარე იქედან, რომ მათ საკუთარი ბაზები აქვთ, ჰოსპისი და შინამოვლის სამსახური და ამ პრაქტიკის დროში გაწერა არანაირ პრობლემას არ წარმოადგენს. დაინტერესდა რა იქნებოდა ექსპერტის მხრიდან პრაქტიკის სარეკომენდაციო ვადა.

დარგის ექსპერტმა უპასუხა, რომ ყველაფერი გამოდის კომპეტენციებიდან, რისი გაკეთება ევალუება პირს. მინიმუმ წელიწადნახევარი, ორი წელი ჰჭირდება ექთანს რომ მოვამზადოთ. ეს საქმიანობა ექთნის საქმიანობას გავს, მაგრამ სამ თვემდე გავდივართ. ფუნქცია-მოვალეობები ექნებათ კურსდამთავრებულებს, აქედან გამომდინარეობს პრაქტიკაც და ამის მიხედვით უნდა გაწეროს დაწესებულებამ პრაქტიკის ვადა.

მარკა ზაქარეიშვილმა აღნიშნა, ორი საკითხია საყურადღებო: პირველი - მსმენელთა ასაკი და მეორე - პროგრამის დრო. მსმენელი თან უნდა შეეგუოს, გააცნობიეროს და მერე გააკეთოს. დაინტერესდა, თუ პროგრამის ხანგრძლივობა გაიზრდება, მსმენელის ასაკი ისევ თუ იქნება შემაფერხებელი.

საბჭოს თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ ექთნის პროფესია არ არის რეგულირებადი და ეს მთავარი პრობლემაა, მეორე მხრივ, მრავალადაა ადამიანები, რომელთაც სურთ ამ სერვისით ისარგებლონ, ამდენად პროგრამის კურსდამთავრებულებზე მოთხოვნა ნამდვილად იქნება. დაწესებულებამ უნდა გააგრძელოს მუშაობა, რათა დავეხმაროთ მოტივირებულ ადამიანებს.

დაწესებულების წარმომადგენელმა თქვა, რომ აქ არ ხდება ექთნის მომზადება, ეს არის ექთნის დამხმარე და მათ შეუძლიათ მხოლოდ ექთანს დაეხმარონ. ექთნის დამხმარეების და მომვლელებისთვის ალბათ სწორი იქნება კომპეტენციების განსაზღვრა, როგორც ბატონმა გიორგიმ ბრძანა.

ექსპერტმა გააგრძელა ხარვეზებზე საუბარი, კერძოდ:

ქვესტანდარტი 1.6 პროფესიული მომზადების პროგრამის სწავლის შედეგები ზოგადია და არ აღწერს კონკრეტული თემატიკის შესწავლის შედეგად მიღებულ ცოდნას. წარმოდგენილ პროგრამაში (პირველ 3 კვირაში) სწავლის შედეგები ერთმანეთის იდენტურია, მაშინ როდესაც სასწავლო თემატიკა განსხვავებული, ასევე სწავლის შედეგები არ არის სწორად ფორმულირებული. საკუთრივ სასწავლო თემატიკა ყოველთვის არ არის მკაფიოდ ჩამოყალიბებული, განსაკუთრებით მე-3 სასწავლო კვირას, ხოლო მე-5 სასწავლო კვირას სუსტადაა სტრუქტურირებული და არ მიყვება სწავლის შედეგებს. თეორიულ ნაწილში თემატიკები ერთმანეთის თანმიმდევრული არ არის. ასე მაგალითად, ადამიანის საბაზისო ანატომია-ფიზიოლოგია ისწავლება მე-4 სასწავლო კვირას და ეთმობა მხოლოდ 20 საათი, მაშინ როდესაც პირველ და მეორე სასწავლო კვირას ისწავლება მოვლის ის სპეციფიკა (კანი და მისი მოვლა, პაციენტის დაკვირვება, სპეციალური კვება, ფიზიო ვარჯიშები და სხვ.), რომელიც საჭიროებს ადამიანის ანატომიისა და ფიზიოლოგიის ცოდნას იმისათვის, რათა მოვლის პროცესში ადექვატურად შეფასდეს ვითარება და მანიპულაციების დროს არ იქნეს დაშვებული შეცდომები.

მნიშვნელოვან გამოწვევას წარმოადგენს პრაქტიკული კომპონენტი ორი ძირითადი მიმართულებით:

- 1) სიმულაციური სწავლება, რომელიც სასწავლო თემატიკაში არ არის გამიჯნული და ბუნდოვანია, რომელ კომპონენტში ტარდება სიმულაცია და რომელში თეორია, რომელი თემატიკებია შერეული მეთოდოლოგიით.
- 2) პრაქტიკულ სამუშაოზე დაფუძნებული სწავლება არ არის გაწერილი, მითითებულია მხოლოდ სწავლის შედეგები, რაც ამ სამუშაოზე დაფუძნებული პრაქტიკით მიიღწევა. გარდა ამისა, სიმულაციური და პრაქტიკული სწავლება პროგრამაში არეულია - პროგრამა აღწერით ნაწილში გვეუბნება, რომ პირველი 2 თვე თეორიული სწავლება მიმდინარეობს (ბოლო თვე სრულიად ეთმობა პრაქტიკას), თუმცა თემატიკის ნაწილში პრაქტიკული კომპონენტებია მოხსენიებული. სამუშაოზე დაფუძნებული კლინიკური პრაქტიკისთვის გამოყოფილი 1 თვე (120 საათი) დაშვების წინაპირობის მქონე და ხშირ შემთხვევაში სამუშაო გამოცდილების არ მქონე 18 წლის ახალგაზრდისთვის, აღნიშნული საქმიანობის დამოუკიდებლად განხორციელებისათვის არასაკმარისია, განსაკუთრებით იმ ფონზე, როდესაც პრაქტიკის თემატიკა არ არის მითითებული.

ქვესტანდარტი 2.3 პროგრამის ბიბლიოგრაფია მოიცავს 17 სასწავლო ლიტერატურას, თუმცა აპლიკანტი იურიდიული პირის მიერ ელექტრონული სახით წარდგენილ იქნა ორი. აღნიშნული ლიტერატურაზე დაყრდნობით შეგვიძლია დავასკვნათ, რომ სასწავლო მასალები

სრულად არ მოიცავს განაცხადით განსაზღვრულ სასწავლო თემატიკას. მე-3, მე-5, მე-7 და მე-8 სასწავლო კვირით განსაზღვრული თემატიკები წარმოდგენილი ლიტერატურით დაფარული არ არის, ხოლო მე-4 სასწავლო კვირის თემატიკა მხოლოდ ნაწილობრივია ასახული. აღსანიშნავია ისიც, რომ პროგრამის განაცხადში მოცემული 17 სასწავლო ლიტერატურიდან 8 გერმანულენოვანია (გერმანული დასათარგმნება და გამომცემლობა), არ არის ნათარგმნი, ხოლო დაშვების წინაპირობა მსმენელთათვის უცხო ენის ცოდნა არ არის. გარდა ამისა წარმოდგენილი ლიტერატურა ძირითადად შიდა სასწავლო დამხმარე მასალებია (ე.წ. handout) და არ ატარებს სამეცნიერო ლიტერატურის ხასიათს. რაც შეეხება თემატიკასთან დაკავშირებულ სხვა სასწავლო მასალასა და პრეზენტაციებს, ისინი წარმოდგენილი არ იყო, ინტერვიუებისას დაწესებულების წარმომადგენლებმა აღნიშნეს, რომ შემუშავების პროცესშია.

გაიგა რეკომენდაციები:

ქვესტანდარტი 1.1 მნიშვნელოვანია რომ ბაზრის კვლევისთვის წარმოდგენილი დოკუმენტაცია წარმოადგენდეს კვლევას ან ვალიდურ დაკვირვებას, რომელიც მტკიცებულებაზე დაყრდნობით დაადასტურებდა შრომის ბაზრის მოთხოვნებს და პროგრამის შესაბამისობას. ასევე, სასურველია დაწესებულებამ წარმოადგინოს პროგრამის განხორციელების შეფასებისა და გაუმჯობესების მექანიზმები, რომლებიც ითვალისწინებენ ადგილობრივი შრომის ბაზრის მოთხოვნებს, უკუკავშირს მსმენელებისა და დამსაქმებლებისგან კითხვარების სახით ან/და მსმენელთა და სხვა დაინტერესებულ პირთა გამოკითხვის შედეგებს ან/და პროფესიული ასოციაციების ან ორგანიზაციების კონსულტაციის შედეგებს.

ქვესტანდარტი 1.2 პროგრამის სახელწოდება, მიზანი, შინაარსი და შედეგები ლოგიკურ ბმაშია, თუმცა, სასურველი იქნებოდა უფრო მკაფიოდ ყოფილიყო მითითებული ამ პროგრამის გავლის შემდეგ მიღებული სერტიფიკატით კონკრეტულად რა პროფესიის/სეგმენტის ადამიანი მომზადდება. შესაძლებელია, ეს განხორციელებულიყო უფრო ვრცელი პროგრამის სახელით.

ქვესტანდარტი 1.3 სასურველია, დაკონკრეტდეს, რომ პროგრამა ითვალისწინებს მხოლოდ ხანდაზმულთა (გერიატრიული) კონტიგენტის მოვლას და არ ეხება ბავშვთა სეგმენტს.

ქვესტანდარტი 1.7 სასურველია, პროგრამაში წარმოდგენილი იყოს უფრო დეტალური გეგმა-გრაფიკი, იმის შესახებ, თუ რამდენი საათი გრძელდება ერთი თემა და რომელია ქვეთემატიკა პროგრამის მიხედვით, რა დრო ეთმობა პრაქტიკულ/სიმულაციურ სწავლებასა და ვიზიტებს ბინაზე. ამ ინფორმაციაზე დაყრდნობით, შესაძლებელი გახდება ეფექტურად დაიგეგმოს ჯგუფის მაქსიმალურ რაოდენობაზე თითოეულ მსმენელზე განაწილებული პრაქტიკული და თეორიული სწავლებისთვის გამოყოფილი დროითი და მატერიალური რესურსები და სამუშაოზე დაგეგმილი სწავლების სარგებლიანობა.

ქვესტანდარტი 2.1 მნიშვნელოვანია გაიზარდოს სწავლების განმახორციელებელი ადამიანური რესურსების რაოდენობა, წინააღმდეგ შემთხვევაში რთული იქნება ხარისხიანი სწავლების უზრუნველყოფა მსმენელთა მოთხოვნილი რაოდენობის ფარგლებში. ასევე მნიშვნელოვანია მიეთითოს ან სტრუქტურირებული იყოს განმახორციელებელი პირების მიმართულება/სპეციალიზაცია სასწავლო თემატიკასთან მიმართებაში.

ქვესტანდარტი 3.4 სასურველია, საგანმანათლებლო მომსახურების ხარისხის უზრუნველყოფის მიზნებისთვის შემუშავდეს კითხვარები დაინტერესებული სხვა მხარეებისათვისაც, ასევე, დაიხვეწოს არსებული კითხვარები.

საბჭოს თავმჯდომარემ მადლობა გადაუხადა ექსპერტს ყოველმხრივი და ღრმა ანალიზისთვის, რაც ასევე დაეხმარება დაწესებულებას. საბჭოს სხდომისთვის გამოყოფილი დროის სიმცირის გამო, გამოაცხადა საკითხის განხილვის გადადება შემდგომ საბჭოზე.

მარიკა ზაქარეიშვილმა კვლევასთან დაკავშირებით დაწესებულებას განუმარტა, რა თქმა უნდა ეს კვლევა არ უნდა იყოს ფუნდამენტალური, უნდა იყოს კარგი დასაბუთება. რაღაც სტატისტიკურ მონაცემს თუ მოიპოვებენ, ეს რა თქმა უნდა კარგი იქნება, მაგრამ უნდა იყოს კარგად დასაბუთებული.

ნიკოლოზ მესხიშვილმა მადლობა გადაუხადა ექსპერტს ძალიან საინტერესო კომენტარებისათვის და ორგანიზაციას მიმართა არ დაყარონ ფარ-ხმალი და აუცილებლად გამოუვათ, რადგან ძალიან კარგ საქმეს ჩაუდგნენ სათავეში და ფიქრობს, ეს შესაძლებელი იქნება თუკი ყველა რეკომენდაციას გაითვალისწინებენ.

დაწესებულებამ მზაობა გამოხატა პროგრამის ხარისხიანად მომზადებისთვის.

საბჭოს სხდომა 17:55 საათზე დახურულად გამოცხადდა.

სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
პროფესიული მომზადების
პროფესიული გადამზადების პროგრამების უფლების მიმნიჭებელი საბჭო
საბჭოს თავმჯდომარე
ქუჩულორია მარიამ



სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
პროფესიული მომზადების
პროფესიული გადამზადების პროგრამების უფლების მიმნიჭებელი საბჭო
საბჭოს მდივანი
ზაქარეიშვილი მარიკა

